# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 150
წელიწადი მეორე
1913
კვირა, 22 სეკტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



თ-დი ემელიანე და ვიაჩესლავ სვიმონის ძენი ჩიჯავაძეები და კნ. თეოდოსია სვიმონ ჩიჯავაძის ასული ჩხეიძისა გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ უსაყვარლესი მამის

## თ-დის სვიმონ გიორგის ძე ჩიჯავაძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენებაც დანიშნულია 24-ს ამა სეკტემბერს, სამშაბათს, დილის 9 საათზე, სოფელ ისრითში, საკუთარ სახლში



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ლ ი მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება 20 სეკსთვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთ ისშ ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შებაში, ახვლედიანის მაღაზიის **უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ფათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმი 5 მან. იწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშეს ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის რვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო რმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ღაზლის მრავალრი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაბი და სარუბაშკეები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების, დიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეები, ყოველნაირი რეზინა საპალტოსკე და აგრეთვე მზა პალტოსკები ქალთა ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი ლმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და წვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უვიჭროთ.** პატივისცემით ა. ახვლედიანი.



## ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА

**РОДАЕТСЯ** очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ съ флигелемъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ полъ ят. сосновой рощи съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ узнать: г. Кисловодскъ до востебованія, *Генеральшѣ Якуловой.*



აგარაკ სურამში, საიდანაც მივდივართ,

## ი ა ფ ა თ ი ყ ი დ ე ბ ა

ი ორსართულიანი სახლი ფლიგელით, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახედესეტინაზე ნაძვნარია, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ მართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს იაკულოვისას (до востребованія).



ვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ზე **ქალაქის აფთიაქის გვერდით,** ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## ფაზისი,

ც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და მი ქართული და ევროპიული **იაფ-ფასათ;** ყოველგვარი ღვინო, ტკბილი სასმელი და ცივი მინერალური წყალი.

რესტორანში **დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების**



ვ თუთუნს ეძებს, ვსთხოვთ, მიაქციონ ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

## რისი

25 ცალი 3 შ.
10 — 6 კ.

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

ოსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოვო გემოვნებით.

უნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.**
თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## თ. ა. მთავრიშვილის

## წიგნის მაღაზია

ბს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

ც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

ელთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ბიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო** ბები და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ** ფასათ დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.**



ელ.-თეატრი „რადიუმში"

ორშაბათიდან წავა

## პომპეის დაღუპვა.



ქ ა ლ ა ქ ი ს თ ე ა ტ რ ი.

ოკტომბრის შუა რიცხვებში

პირველი ქართული სიმფონიური

## კონცერტი

## პ. ფოცხვერაშვილისა.

თფილისის ახალი კლუბის ორკესტრისა და ქუთაისის მომღერალთა გუნდის მონაწილეობით.

ვისაც ხოროში მონაწილეობა სურს, 23 ამ თვემდი ჩაეწერონ ქალაქის თეატრში დილის 10—საღამოს 5 საათამდი. ხოროში მონაწილეთა რიცხვი განსაზღვრულია, 23 შემდეგ აღარავის მიიღებენ.



ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი.

სამშაბათს, 24 სეკტემბერს, საღამოს 8 საათზე,

ილია ჭავჭავაძის მოყვარავათ ნამყოფი დიმიტრი ქძაში წაიკითხავს საჯარო ცნობას ამ თემაზე;

## უკანასკნელი დღეები ილია ჭავჭავაძისა.

(ნამდვილი ცნობანი თვალით მნახველი მოწმისა). დაწვრილებითი პროგრამა აფიშებშია. **დასაწყისი საღამოს** 8 **საათ. ადგილების ფასი ექვსი აბაზიდან ხუთ** მაურამდე. ლოჟა 2 მ. 50 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.



**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს **(შინაგანი ვენერიული კანის)** ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**აქიმი** კ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. შ. ასიანცის სახლი.**

აქიმი პ. ი. პაპიტელაშვილი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ვეღარ მიიღებს.
13—15

**ა ქ ი მ ი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ, თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30

## აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

მასაჟით სამკურნალო- კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.


## ქუთაისი, 22 სეკტემბერი.

ჯერ ქალაქების დელეგატთა კრება არ დასრულებულა, უმთავრეს საკითხებზე დელეგატებს თავისი აზრი არ გამოუთქვამსთ, მაგრამ რაც ითქვა და რაც გამოირკვა, ისიც საკმაოთ ახასიათებს საქალაქო თვითმართველობათა ახლანდელ მდგომარეობას. ამ ორგანოების დანიშნულებაა დააკმაყოფილოს ქალაქის მცხოვრებთა ადგილობრივი ინტერესები, მოაწესრიგოს ქალაქის რთული მეურნეობა. მრავალი სხვადასხვა მოვალეობა აქვს დაკისრებული ამ ორგანოებს, სახსარი კი მის განსახორციელებლათ მეტათ მცირე. არაყის მონოპოლიის შემოღებას შემდეგ ხო მთლად განახევრდა, სატრაკტირო ხარკი ძლიერ შემცირდა. ამ რეფორმით მიყენებული ზარალი მთავრობამ მოისურვა აღედგინა ქალაქებისთვის ბინებზე ახალი ხარკის დადებით. 1903 წელს უმაღლესი ბძანებით ბინის ხარკიდან შემოსავლის ნახევარი ქალაქ პეტერბურგს გადაეცა. და იმათ, რომელნიც 33 მანეთზე არა ნაკლებს იხდიდენ, საარჩევნო უფლებაც მიენიჭათ. თქმა არ უნდა, ეს ზომა ვერ გასწევდა სატრაკტირო ხარკის მაგივრობასა და ქალაქების ბიუჯეტები შესამჩნევათ შემცირდა. სხვადასხვა მოთხოვნილება კი თანდათან იზდებოდა და იზდება დღესაც. რომ ცოტათი მაინც მიეგებონ მუნიციპალური მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებას, საჭიროა დიდი კაპიტალი, რაც ქალაქებს არ მოეპოება.

დასავლეთ ევროპაში ქალაქებს სხვადასხვა დარგში თავისი წარმოება აქვთ. დიდი ხანია, იქ ქალაქებმა ტრამვაის, ტელეფონის, ტელეგრაფის, წყალსადენისა და სხვა დარგთა მუნიციპალიზაცია მოახდინეს. ასეთი რეფორმები, რომელიც გამოწვეულია სადი სამეურნეო პოლიტიკის მოთხოვნილებით, შეუძლებელი იქნებოდა, რომ ქალაქებს დიდი და იაფი კრედიტი არ ქონოდათ. ბელგიაში, მაგალითად, კარგა ხანია არსებობს მუნიციპალური ბანკი, რომელიც იაფ სესხს აძლევს ქალაქებს. მუნიციპალური თვითმართველობათა მოქმედების ხასიათი ისეთია, რომ თხოულობს გძელვადიან სესხს. რუსეთის ქალაქების ზდა განვითარება ძლიერ დაბრკოლებას განიცდის იმით, რომ ასეთი გძელ ვადიანი სესხის შოვნა სავსებით შეუძლებელია. და მოკლე ვადიანსაც იღებენ როგორც კერძო პირები, უძრავი ქონების, ან პროცენტიანი ქაღალდების დაგირავებით. ასეთი წესი სჩაგრავს განსაკუთრებით პატარა ქალაქებს, რადგანაც დიდები მთავრობის ნებართვით ობლიგაციებს უშვებენ და, თუმცა დიდის დაბრკოლებით, მაინც შოულობენ საჭირო კაპიტალს. ამას გარდა ნაყოფიერ მუშაობას, აუცილებელ თაოსნობას დიდათ აბრკოლებს ადმინისტრატიული აპეკა. ყოველს, ქალაქის მიერ დაწყებულ საქმეს ეჭვის თვალით უყურებს მთავრობის ადგილობრივი აგენტი. მის ხელთაა მისცეს მსვლელობა საქმეს თუ მწვანე მაუდ ქვეშ ამოსდვას იგი. თფილისის დელეგატი ჯაბარი ასწერს იმ შვამდგომლობის ისტორიას, რომელითაც ოთხასი ათასი მანეთი სესხი უნდა გამოეთხოვა ქალაქ თფილისს. თურმე ეს შვამდგომლობა მთელი წელიწადი გუბერნატორის კანცელარიაში ძევს, არ იქნა და არ ეღირსა, რომ იქიდან სახაზინო პალატაში გადასულიყო. ამ გვარ პირობებში ძნელია, რასაკვირველია, ნაყოფიერი მუშაობა. აქ სავსებით შებორკილია თვით მართველობის მოქმედება.

კიევის კრებას მეტათ ძნელ პირობებში უხდება მუშაობა. კრების თავჯდომარე გუბერნატორმა მიიწვია და გარკვეულათ აუხსნა, რომ, თუ კრება პოლიტიკურ საკითხებს შეეხება მისი მუშაობა შეწყვეტილ იქნება, კრება დაიხურებაო. ასეთი გაფრთხილება გუბერნატორის მხრით საჭირო შეიქნა. მართველობა დაშინებულია, სადაც კი რომელიმე კრება მოხდა, ყველგან 17 ოკტომბრის მანიფესტზე ჩამოვარდა ლაპარაკი. და, მოგეხსენებათ, მართველობის წევრების სმენას არაფრათ ესიამოვნება მისი გახსენება. კიევის კრების თავსაც დამოკლეს მახვილი დაყურებს. საკმარისია საკითხს ფართოდ შეეხოს, ყოველი მხრით გააშუქო იგი, რო მართველობის წყრომა დაიმსახურო. ამიტომაც არის, რომ თავჯდომარე ელდა ნაკრავივით ზე წამოიჭრება და ორატორს ეცემა, როცა საქალაქო დებულებას ვინმე შეეხება და მის რეფორმაზე სიტყვას ჩამოაგდებს. მიუხედავათ ასეთი პირობებისა, კრებამ მაინც მოახერხა ალქრულ საკითხებზე გადაჭრილი პასუხი მიეცა. 13 სეკტემბერს ერთხმათ მიღებული რეზოლიუცია აღნიშნავს საბიუჯეტოსა და კერძო სესხის უფლების გაფართოების საჭიროებას:—რომ ორგანოებმა თავის დანიშნულებას ემსახურონ, თვითმართველობებს გძელ ვადიანი სესხის აღების უფლება უნდა ქონდესთ. ამ გზით დააწევენ მხოლოდ თავს მძიმე ფინანსიურ კრიზისს რუსეთის ქალაქები და განახლების გზაზე დადგებიან.

კრება საჭიროდ სთვლის მუნიციპალური ბანკის დაარსებას. იაფი, გძელ-ვადიანი კრედიტი, რომელსაც განავითარებს მომავალი ბანკი, საშვალებას მისცემს ქალაქებს საკუთრად მოაწყონ: მცხოვრებთათვის აუცილებელი დაწესებულებით სარგებლობა. ამას ორგვარი მნიშვნელობა ექნება. წარმოების ამ დარგებიდან მოგებული ფული ქალაქის ხარჯებს თითქმის დაფარავს და შესაძლებელი გახდება მცხოვრებთა ულარიბესი ნაწილი საქალაქო გადასახადიდან გაათავისუფლდეს. მეორე, უფრო დიდი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ ყვე...

ზემოაღნიშნული სიკეთით სარგებლობა გაიაფდება და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება. ქალაქი კერძო პირი არა არის მარტო რო მოგებაზე იფიქროს, პირიქით მისი უმთავრესი ცდა ის არის, რომ ხალხის უსაჭიროესი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, და თუ რამე მოგება იქნება, ხომ ისევ ამ ხალხის საჭიროებას მოხმარდება. დღეს კი, სადაც წყალსადენის, განათების, ტელეფონისა და სხვა ამისთანების საქმე კერძო პირთა, ან საექსპლოატაციო კამპანიის ხელშია. ამით ექსპლოატატორულ მადას ველარ აკმაყოფილებს და ცხოვრების სიძვირე ამის გამო ზღაპრულის სისწრაფით იზრდება. დიდი ხანია ეს შეგნებული აქვთ თვითმართველობათა მოღვაწეებს, ხმა მაღლა აღიარეს ეს აწინდელ კიევის კრებაზეც. ხოლო, ექნება თუ არა რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა კიევის კრების რეზოლიუციას, გაუწევენ თუ არა ანგარიშს მთავრობა და საკანონმდებლო დაწესებულებანი ამ სურვილს, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს...

# „თემს“

„თემი“ დიდს გულკეთილობას იჩენს ჩვენდამი, აბა, რა ღირსი ვართ. მის მესვეურთან ბაასისა, ის მაინც უმოწყალოთ არ გვტოვებს, მართალია, დიდი ყოყმანით, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვით გვიხსენიებს. რა ვუყოთ, რომ თავის მადლს მარილის მაგიერათ პილპილს აყრის, ალბათ ასე გვეკადრება.

როცა „თემი“ ,,ასე სხვილ-სხვილათ იხარჯება'' ერთი გულიანათ გინდათ გაიცინოთ, რადგან ძალიან კარგათ იცით იქ დაბანაკებულ მხედართა მოკაზმულობა. პასუხითაც თავს არ შეიწუხებდა კაცი, რომ გულუბრყვილო მკითხველზე ასეთი კილო სხვა გვარათ არ მოქმედობდეს. საყურადღებოა ისიც, რომ რაც უფრო ცუდათ აქვთ თემელებს საქმე, მით უფრო მეტათ იბერებიან, მედიდურობენ და თავს მაღლა სწევენ—გაჭივრება არვინ შეგვატყოსო. სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია „თემი“ დღეს. მოუფიქრებლათ, წინ დაუხედავათ პოლემიკის დროს აღიარა: ჩვენ მარტო იმ ამბავს ვუწოდეთ ჭორი თითქოს ილიას ჯარი გამოეწვიოსო, დანარჩენი ამბების გამორკვევას ჩვენც საჭიროთ ვსთვლითო...

ეს პასუხი ჩვენმა მეპრესემ აღნიშნა და თანვე მოიყვანა ის დანარჩენი ამბები, რომელიც გამორკვევის საგნათ უნდა გამხდარიყო. ამ ამბებში, რომელსაც ჩვენ ცილის წამებათ ვსთვლიდით და ვსთვლით ერთი უსაზიზღრესი ცილისწამებაა—ილია ჭავჭავაძემ გლეხები დააბეზღაო. აი ამის შესახებ სწერდა მეპრესე:—„რა უნდა გამოვიკვლიოთ, ნუთუ ის, რომ ილია ჯაშუში იყო თუ არაო. გამოდიოდა და თითქოს ჯარის გამოწვევის ამბავი ყოფილიყოს საზიზღარი ჭორი, ყველა სხვა ამბავი კი გამოკვლევის ღირსი. დიახ, „თემს“, ჩვენ ვფიქრობთ, ეს წამოცდა და გვეგონა, ჩვენ მიერ შეცთომაზე მითითების შემდეგ, როგორც დარბაისელსა და სიმართლის მოყვარე პუბლიცისტს შეჰფერის, თვითონაც აღიარებდა შეცთომას, მაგრამ მოვსტყუვდით, პირიქით გამოდმა შემოგვედავა, ხოლო რომ, თავისი შეცთომა დაფაროს, ერთი საშინლად გაიბერა, თავი მაღლა ასწია და იქიდან გადმოგვძახის—ღირს კი თქვენთან ლაპარაკიო! ოღონდაც რომ ღირს? რაღა ლაპარაკი შეგიძლიათ... დღესაც ბ-ნი იგივე სწერს: ბავშმაც კი იცის, როცა გსურს ილიასა და გლეხების ურთიერთობა გამოიკვლიო, სალი და პატიოსანი მსჯელობას ადამიანს არ მოგივა აზრათ ჯაშუშობის საკითხის დაყენებაო. მართალსა ბძანებთ, რომ სალი მსჯელობის ადამიანს არ უნდა მოუვიდეს ასეთი მარცხი, მაგრამ, სამწუხაროთ, თქვენ მოგივიდათ და იმდენი მოქალაქეობრივი სიმამაცე არ გეყოთ, რომ ეს გეღიარებინათ.

თქვენ ბძანებთ, რომ ჩვენ „თემისადმი“ მუდამ უაზრო სიძულვილი გვალაპარაკებს. ამის გამო უნდა მოგახსენოთ, რომ ცოტა ეჭვი გვეპარება თქვენი სიტყვების გულწრფელობაში. თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ ჩვენ არავითარი პირადი მტრობა და სიძულვილი არ გვალაპარაკებს ვისმეს, და მით უმეტეს თქვენს, წინაამდეგ, ხოლო, თუ მაინც ასე ჭიკჭიკებთ, ამას თავისი აზრი აქვს. გინდათ, „ერთ ვისმე“ აჩვენოთ—აი, ნაციონალისტების გაზეთებს ძულვარ, ყველა მე მდევნის, იმათთან არავითარი საერთო არ მაქვს და ახლაც არ შემიყვარებთო.

ჩვენ გულწრფელათ თანავუგრძნობთ თქვენს უბედობას, მაგრამ, რა ვქნათ, რომ დასელების „კნიაჟნამ“ „არ გისმინათ მწუხარებით დადაგულს და დაგასოთ საუკუნოთ დანა გულს“. გვესმის უარყოფილი სიყვარულის პსიქოლოგია. მაგრამ ერთი რამ არის თქვენს საქციელში უცნაური: შოთა ამბობს: სიყვარული აგვამაღლებსო, არა მგონია თქვენზე ეს აზრი გამართლებულიყოს; მაშინ თქვენ არ მოკიდებდით ხელს ისეთ უმადურ საქმეს, როგორიც არის ჩვენიანების ჩვენს წინააღმდეგ გამოწვევა. ჩვენ მოგახსენებთ—ხმა ვერ ამოგიღიათ ისე, რომ თანვე არ დასძინოთ—„ღირს კი იმ გაზეთზე ლაპარაკი, რომელზეც თავისიანებიც კი უარს ამბობენო“ ჩვენ გვგონია, ასეთი საქციელი უფრო თქვენი და თქვენიანების დამახასიათებელია, რომელიც დღეს აქ არის, ხვალ იქ, მუდამ რყევაშია და თქვენი დასელი სატრფოს ზდილობიანი ენით რომ ვსთქვათ—წაჯეუკუჯეჭობს...

„თემი იქ,
თემი ზევით,
თემი ძირს,

# ახალი ამბავი.

დღეს იფრენს ავიატორი ბ-ნ ქებურია. ვინც თვალყურს ადევნებდა ამ კაცის მოქმედებას, უნდა მოიგონოს, რამდენი გაბედულობისა და ენერგიის უნდა იყოს იგი, რამდენჯერ ხიფათს გადარჩა იმის გამო, რომ სანატრელად და სასურველად ვერ მომართა თავის აპარატი, ხშირად მოტორი ღალატობდა, ერთხელ ბეწვზე გადარჩა დამსხვრევას, მაინც გული არ გაუტყდა და დღეს სძლია ყოველი დაბრკოლება და თავისი კოხტა აპარატით აღტაცებაში მოიყვანა თფილისის საზოგადოება. იმედია გამოიდარა და ქუთაისის საზოგადოებაც დასტკბება ამ მამაცი ავიატორის ჰაერში ფრენით.

✦ ჩვენი რკინის გზის მართველობამ მეოთხე კლასის ვაგონები შემოიღო, მარა ქუთაისს კერძოთ, როგორც სხვა ყოველი სიკეთე, ესეც აცილებული აქვს ჯერჯერობით, რადგან მხოლოდ რიონის სადგურიდან არის ასეთი ვაგონები, მაგისტრალზე, ქუთაისის სადგურზე კი არ შემოდის ეს ვაგონები და შეუძლებელ ხალხს ესპობა მითი სარგებლობა. ქალაქი მოვალეა იზრუნოს ამ საქმისთვის.

✦ ჩვენს რედაქციას მოწოდება მოუვიდა იმ საიუბილეო კომიტეტისაგან, რომელიც წინამძღვარიანთ კარის 30 წლ. არსებობის დღესასწაულის მოწყობისთვის ზრუნავს. კომიტეტი გვთხოვს დავესწროთ ამ საგულისხმო იუბილეს. რედაქცია სიამოვნებით გაგზავნის თავის წარმომადგენელს ამ დღესასწაულზე.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა შეუდგა თავის მოქმედებას და პირველი ლექციების წაკითხვა დანიშნულია დღეს, 22 ეკენისთვეს, დღის 12 საათზე, თეტრ „რადიუმ“-ში.

ბ. ნესტორ ბალანჩივაძე წაიკითხავს ორ ლექციას ფრიად საგულისხმო თემაზე:—**დამნაშავე, დანაშაული და საზოგადოება.** ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. კასა გაიხსნება 10 საათზე.

✦ ქალაქის საბიბლიოთეკო კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ბიბლიოთეკის გამგეთ ისევ პელაგია ლორიას ასული დასტოვოს. ბიბლიოთეკის მცველი გაბალაშვილი კი გადაყვანილ იქნეს სხვა ადგილზე. დაადგინეს თანამშემწეთ მოიწვიონ მ. გუგუშვილი.

✦ ქალაქის ინჟინრათ მოწვეული ბ-ნი ფრიკი თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობაში ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას კრება ქონდა.

✦ 18 სექტემბერს ბაქოში დაიწყო გარჩევა თ-დი უჩა დადიანის საქმის. პასუხისგებაში მიცემულია: ბარბალე დადეშქელიანის მეუღლე, თ-დი უჩა დადიანი, კახიძე, ალშიბაია და ბაკურია: დამცველებათ გამოდიან: ბობრიშჩევ-პუშკინი, კლანკი, მუტუშევი, კოსტენსკი, ფალავა, ესენი, მიქელაძე, გიორგაძე და პარასკევა. საქმე რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

✦ სწავლა-განათლების მინისტრს უთქვამს, რომ კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნის საკითხის გადაწყვეტა მეფის მოადგილისგან არის დამოკიდებულიო.

✦ კავკასიის ტყეების გამოსაკვლევათ თფილისს ჩამოვლენ ბელგიელი კაპიტალისტები, რომელიც კავკასიაში ორ კვირას დარჩებიან და შემდეგ სპარსეთს გაემგზავრებიან.

✦ ტ. რამიშვილს დაუწერია სამ-მოქმედებიანი დრამა „შეურიგებელი“, ირეთელს—სამ-მოქმედებიანი კომედია ,,ბედნიერი დღე'' და ჭანტურიშვილს პიესა ,,ბურუსში''. ამ პიესებს თფილისს დასი წელს წარმოადგენსო.

✦ სამიწისმოქმედო მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი 11 მილიონის გადადების შესახებ კავკასიაში გილკის ველის მოსარწყავათ და მდინარე არაქსზე გიდრო-ტეხნიკური სადგურის ასაშენებლათ.

✦ 1 ოკტომბერს ბათომის ქალაქის თვითმართველობა 25 წლის არსებობის დღესასწაულს გადაიხდის. 25 წლის იუბილესვე უხდიან ამ გამგეობის მდივანს ი. ს. მესხს.

✦ ფოთის საქალაქო შკოლის ინსპექტორი მიტროფანოვი თფილისის გუბერნიაში სახალხო შკოლების ინსპექტორ დანიშნეს. ფოთში მის ადგილს დრო ბით მასწავლებელი პოპოვი ასრულებს.

✦ ამ დღეებში თფილისს ჩავა მიწ მოქმედების სამართველოს განსაკუთრ ბული მოხელე ბეგრომოვი. განზრახ ლია მეაბრეშუმობის გასავრცელებე ზომების მიღება. ფიქრობენ, კავკასია ექვსი სააბრეშუმო პუნქტის დაარსებ

ნება დართეს, რომ თფილისში ოკტო რის თვეში კავკასიისა და თურქისტა მხრის მევენახეთა და მეღვინეთა წარმ მადგენლების კრება მოიწვიონ.

# ჩვენი ქალაქის აფთიაქი.

**მთავრობის წარმომადგენლის რადიკალური ზომა.**

სასაცილოა, სამტირალო რომ არ იყ გუბერნატორის სამართლიანი განკარ ლება—ერთის მხრით და მეორე მხრით ლაქის გამგეობისა და აფთიაქის ხელმძ ნელის დაუდევრობა.

ყველას მოეხსენება—აფთიაქი მარ სავაჭრო დაწესებულება არ არის, აფთიაქს უფრო მაღლა უნდა ეჭი დროშა საზოგადოებრივი ინტერეს დაცვისა, ვიდრე უბრალო საგალანტერ სამანიფაქტურო მაღაზის.

უპირველეს ყოვლისა, აფთიაქი უ იძლეოდეს დანიშნულ დროზე და სა მალს, შეზავებულს გამოცდილ, მცო პირთაგან.

ამის მაგიერ რას ვხედავთ? ხშირია თი მოვლენა, რომ ეს თუ ის მადა გახს მეაფთიაქე დღე და ღამე იმის ცდაში ძებნაში—სად ნახოს იაფი, „ფალსი ციის“ ლაბორატორია, სადაც მე მენტს წამლის მასალას—მედიცინის ხშირათ ყალბსა და ყოვლად უვარგ ფათ იშოვის. არ ერიდებიან არა საშვალებას, აინაზღაურონ ის დანაკ რაც ფარმაცევტთა მოძრაობამ და ვ და სამუშაო პირობების „გაუმჯობე მიაყენა მათ. რისი საზოგადოებრივ ტერესი?

# დღიური.

საბერძნეთში დემობილიზაციის მოხდენა შეაჩერეს.

— ალბანელებს, სერბიელების წინააღმდეგ აჯანყებული 40 ათასი მაკედონელი შეუერთდენ.

— ხონქარი მძიმე ავათ გახდა.

— ალბანელთა მოძრაობა ძლიერდება. ალბანელებმა დიაკოვო და ოხრიდა დაიკავეს.

— საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულება ძალიან გამწვავდა.

— სერბია ცთილობს—ბულგარეთმა საფრანგეთისაგან სესხი არ აიღოს.

— ალბანეთის დროებითმა მთავრობა დიდ სახელმწიფოებს სთხოვა, [illegible] თილათ დაბოლოებას ხელი შეუწყვეთო.

— სპარსეთში დემოკრატების ორგან თხოულობს კაბინეტის წევრთა დაცვლ ორგანო მინისტრებს ქრთამის აღებ აბრალებს.

— ბურცევი კლემანსოს უმტკიცებ პარიზში კიდევ არსებობს რუსეთის პ ლიციის განყოფილებაო.

# შინ და გარეთ.

I.

ამ კვირაში ქუთაისის ერთფერი და მონოტონური ცხოვრება არვის და არაფერს დაურღვევია; არც რიონს გამოუცვლია კალაპოტი და ქალაქის მამებიც ჩვეულებრივათ ხვრინავენ. არ მოგიკვდეთ თავი თვითმართველობის ხმოსნებს, ქალაქის საბჭოს კარზე მომდგარი საქმეები არ აწუხებდეს, ყველაფერი ჩვეულებრივათ მიდის და მიმდინარეობს, კვლავ ჩვეულებრივ აპატიას ვხედავთ მამებისას ქალაქის საქმეებისადმი, კვლავ: „ძილი. ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“

მართალი უნდა მოგახსენოთ ყველაფერს დავიჯერებ, მაგრამ იმას კი ვერა, რომ ქუთაისს რაიმე ეშველოს დღევანდელ მცონარე მამების ხელში. აბა რასა გავს, ქალაქის საბჭოს კრებას ხმოსანთა მთელი შემადგენლობის ერთი მესამედიც არ ესწრება, საჭირო და საჩქარო საქმეებია გასარჩევი და იძულებული არიან საქმე შეაჩერონ, რადგან არასოდეს... საბჭოს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. არ შესდგა საბჭოს კრება ორშაბათსაც, როდესაც საბჭოს ათასი საჭირ-ბოროტო კითხვები ქონდა გასარჩევი და გადასაწყვეტი, არ შესდგება იგი არც ამ ორშაბათს, არც იმ ორშაბათს და რათ უნდა გაგიკვირდესთ თუ არსებითად არაფერი კეთდება და თვალის მოტყუებას ბევრი სცდილობს. განა თვალის მოტყუება არაა ქალაქის ქუჩების მდგომარეობა? ბაღის გარშემო ქვაფენილი და სისუფთავე, ქალაქის სამართველოს წინ ქვაფენილი და სისუფთავე, განაპირა ქუჩებში კი... ტალახი და უსუფთაობა. უვლიან და თავს ევლებიან ქალაქის ცენტრს, რომელიც ძალაუნებურათ თვალში უნდა მოხვდეს გამვლელ-გამომვლელს და უყურადღებოთ არის დატოვებული განაპირა ადგილები. რომ რამე სთქვათ, იმწამსვე ფულების უქონლობაზე მიგითითებენ, პირიქით თქვენ აგამსებენ საყვედურებით, როგორ გაბედეთ და კრინტი დასძარით განაპირა ქუჩების შესახებ, როცა ქალაქის თვითმართველობის სალაროში თაგვები ჯირითობენო, მაგრამ არ მგონია უფულობის ბრალი იყოს განაპირა ქუჩებზე დამდგარი ტბა და ჭაობები წვიმის დროს და ტალახი წვიმას შემდეგ, როცა ქალაქის ცენტრს ბევრი არა მკითხე გადიები ახვევია თავს. რათ უნდა დაისაჯონ ცენტრს გარეშე მცხოვრებნი, გადასახადი ხომ ყველას თანასწორათ ხდება, განა ამ შემთხვევაში ცენტრსა და განაპირა ქუჩებს შორის არის რამე განსხვავება?

—

არავითარი განსხვავება არ არის არც თეატრალურ საქმეში. გვგონია ძილი და მცონარეობა არა მარტო ქალაქის მამათა სენია. და ესაა რომ ღუპავს ჩვენში ყველაფერს და მათ შორის თეატრალურ საქმესაც. წელს თითქმის უსეზონოთ ვრჩებით, თითქმის მეთქი, რადგან თფილისიდან მოსიარულე დასზე არ შემიძლია დიდი იმედები დავამყარო, სხვა რომ არ იყოს რა წარმოდგენათა საკმაო რიცხვი მაინც არ გვექნება; საკუთარი სეზონი კი ჩვენთვის შეუძლებელი შეიქნა, რადგან დრამატიული საზოგადოების გამგეობამ საჭირო დროს უმოქმედობა გამოიჩინა, სეზონის თავდარიგს ცოტა გვიან შეუდგა, მოხერხებული დრო მოხერხებულათ ვერ გამოიყენა და საქმე იქამდი მივიდა, რომ იძულებული შეიქნენ ყველაფრისთვის თავი მიენებებიათ და თფილისის საზოგადოებისთვის მიემართნათ. თფილისმაც ყურად იღო ვედრება და მოწყალება მოიღო, მაგრამ სხვისი იმედით როდემდი უნდა ვცოცხლობდეთ?

—

მარტო სხვისი შემჩერე რომ ყოფილიყო და თავისი იმედი არ ქონოდა, საკუთარ ძალღონესა და ენერგიას არ მინდობოდა, აქამდი ავიატორ ქებურიას არათუ წინა, ყველა კბილი დაძვრებოდა. მართლაც, რომ გვარი არ ქონდეს ქართველის, სახე და დაახლოებით არ იცნობდე ამ კაცს, გეგონებათ ამას ქართველის არა სცხია რაო. მაშინ, როდესაც ჩვენ კეთილდღეობას სიზარმაცის ჭია ღრღნის და სამარეს უმზადებს, როდესაც ქართველი ინტელიგენტი, ქართველი მოხელე, ქართველი ვაჭარი, ქართველი აზნაური, გლეხი და სხ. უბრალო რამის წინაშეც კი თრთიან და შიშით ცახცახებენ, ამ ქართველ ავიატორს ვერაფერი აშინებს, იგი სხვერპლათ სწირავს თავის ყოფაცხოვრებას საყვარელ საქმეს, ებრძვის სტიქიას, არ უშინდება სიკვდილს და განაგრძობს სვლას დასახული მიზნისკენ ამაყათ და გაბედულათ. ამას წინათ თფილისში ფრენის დროს იგი მფრინავი მანქანიდან ჩამოვარდა კიდეც დასახიჩრდა, წინა კბილები ჩაემტვრა, გეგონა არამც თუ გაფრენილს, მიწაზე მოსიარულესაც ვერ ვნახავდით, მაგრამ, როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როდესაც იგი რედაქციაში შემოვიდა საღი, ჯანმრთელი ფიზიკურათ და სულიერათ, სრულებით მის სულისკვეთებას განვლილი უბედურება არ დამჩნევია, ძველებური აღფრთოვანებითა და აღტაცებით მსჯელობს თავის საყვარელ საქმეზე და არამც თუ თავი არ მიუნებებია ამ საქმისთვის, პირიქით მეტის ენერგიით შედგომია მას, თფილისში უკვე მიუღია გამარჯვების ჯილდო და დღეს ქუთაისშიც გვესტუმრება, თითქოს ამით უნდა დაგვანახვოს და გვითხრას:—ხედავთ, რა შეუძლია ადამიანს, როცა მას საქმე უყვარს, ენერგია აქვს და ბოროტათ არ იხმარს ამ ენერგიასო... იგი მისაბაძი მაგალითია, მაგრამ... რამდენი მისაბაძი მაგალითები გვქონია და არ წაგვიბაძავს ცუდს მალე ვეჩვევით, კარგს კი გვიან ვითვისებთ.

II.

ყველამ უწყის, თუ პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის გამოძებნამ, როგორი შეჯახება და კამათი გამოიწვია სომხური და ქართული პრესის შორის. სოლოლაკელებს არავითარი ძალღონე და ცდა არ დაუკლიათ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში გადაეთრიათ და მით ერთგვარი ფანტაზიისთვის სასურველი დაბოლოება მიეცათ. სომხურმა გაზეთებმა თანამშრომელთა მობილიზაცია გამოაცხადეს, იხმეს ინჟინერ-სპეციალისტებიც, სხვადასხვა ავტორიტეტს მიმართეს დახმარებისთვის, მაგრამ მთავრობამ იმ თავითვე ნეიტრალობა არჩია და მეფის მოადგილემ საქმე განსაკუთრებულ კომისიას გადასცა. 16 სექტემბერს ამ კომისიას სხდომა ქონდა გაკელის თავჯდომარეობით, რომელზეც მომხსენებელმა დაამტკიცა, რომ ყოველი მხრით საბურთალო სჯობნის ნავთლუღსა ლოტკის გორას. პოდკომისიის წევ იძულებული შეიქნენ მომხსენებელ თანხმობოდენ, მხოლოდ თფილის ლაქის თავი ხატისოვი გამოეთიშა შემადგენლობას და განაცხადა, მდეგ მოსაზრებებს წარმოვადგენო. საზრებებს წარმოადგენს ბ-ნი ხატის ჩვენ არ გვაინტერესებს, რადგან ცება იმისა, რომ საბურთალოს ნა ლი სჯობსო, ერთგვარ ჭეშმარიტებ სიმის დარღვევათ მიგვაჩნია, საინ სო ჩვენთვის ამ შემთხვევაში ბ-ნი სოვის ოპოზიციონერობაა. ვიცი სად მარხია ძაღლის თავი, ვიცით თუ ხატისოვის სახით ვინ ოპოზი რობს და ეს გვაწუხებს, ესაა სავალალო, თუმცა არც პირად ხატისოვის მოქმედებაა სანუგეშო სიხარული, რადგან მას ამჟამად თანამდებობა უჭირავს, რომელიც თხვევაში მისგან უფრო ნეიტრალო ლაქის უმეტესობის სურვილთან შის გაწევას და საერთო სარგებ ზრუნვას მოითხოვს. ეს არ იცის ტისოვმა ამჟამათ, როცა ასე უღ ოპოზიციონერობს და არ იცოდ როცა მამალივით ყოყლოჩინობ გაიძახოდა: „თუ პოლიტეხნიკუმ ლუღში არ იქნა, ქალაქი მის ს ლოთ კაპეიკს არ გაიღებსო“, მთელი ქალაქი მართლაც მარტ სოვისა და სოლოლაკელთა საქ შეადგენდეს და საერთო საქმის ყვეტა და განხორციელება მხოლ ტისოვის პირად სურვილზე იყო რებული...

III

ოფიციალური რუსეთის „დე კოკოვცევი საოცარი ხელოვ

# გუნების წიაღზე.

მთა ნარნარ მთვარეს პატიჟობს,
ბალახი ნიავს ეგება,
ვარსკვლავთა ციალს ნარგიზი
ღიმილით შემოეგება.
ღამის მგოსანი ვარდს დამღერს
და გული ტრფობით ევსება,
ყვავილთა ღერო ტბის ნაპირს
თავდახრით ეალერსება.
ნაკადი ლაღათ მოხტუნავს,
მასპინძლათ ხვდება ხევია,
ია ვარდს, ვარდი იასა
ზღაპრულათ გადახვევია.
ვისაც ვინ უყვარს, აქ არის,
ყველა ეძლევა ლხენასა,
ბოლო არ უჩანს არც ალერსს,
არც გიჟურ ალმაფრენასა.

მხოლოდ მე, მარტო მე დავალ,
უტოლოთ, უმეგობროთა.
ბარი სამარე მგონია,
და მთა უდრანი—გოლგოთა.
არა მყავს იგი, ვინც მიყვარს,
ვინც სულთან შენაზარდია,
ვინ ჩემი გრძნობის ცეცხლი და
ტანჯული გულის ვარდია.
ვერა, ვერ ვხედავ მას, ვინაც
ჩემი ფიქრები არია,
ვის ჩემი ძილი, სიზმარი
არერთხელ მოუპარია!
ვერა ვსჭვრეტ სულის კაეშანს,
მზის ოქროს სხივთა კონასა,
და უიმისოთ ცრემლს ვაფრქვევ
მისი თვალების წონასა...

**გუცა.**

16 აგვისტო.
დ. საჩხერე.

თქვენ ჭლექი სულს გიხუთავს—ინებეთ
...ირკოლის“ მაგიერ ათასი მიმზგავსება;
...ვენ სასოწარკვეთილი დიდ იმედს ამყა-
...ბთ აქიმზე, აფთიაქზე—ესენი კი თქვენს
...მალს ამზადებიებენ, ყოვლად უვიცს,
...მოუცთელს მოწაფეს, რომელმაც არც კი
...ის, რას აკეთებს.
...მას ხშირათ ჩადის კერძო მესაკუთრე,
...რას დაგიდევს საზოგადოებრივ ჯან-
...ელობას, მისი მადა უძიროა. ხოლო
...ცა საზოგადოებრივი, ქალაქის დაწე-
...ბულება მიდის იმ ზომამდი, რომ საჭი-
...ო ხდება მთავრობის წარმომადგენლის
...ანება:—მუშა ხელი მოუმატეთ საჭი-
...ოა ეგ საქმის წარმატებისთვისო—ეს გა-
...მოება სამართლიან გულისწყრომას იწ-
...ვს საზოგადოებისას.
საუბარი გვქონდა ქალაქის აფთიაქის
...ოვიზორებთანა და ფარმაცევტებთან,
...ელამ აღიარა: მუშაობას ვერ ვასწრებთ,

ხალხთან ჩხუბს ვუნდებით, წამალს თავის დროზე ვერ ვაძლევთ, ქალაქი რო მეტს ყურადღებას მიაქცევდეს, ბევრათ მეტი შემოსავალი ექნებოდაო და სხვ...

იმედია, ქალაქი, სააფთიაქო კომისია და გამგეც ეცთებიან და მათთვის საჭირო აღარ იქნება სხვისი ჩარევა და გახსენება იმის, რომ საკუთარი საქმე უკეთა და წარმატებით წაიყვანონ. **მოკეთე.**

# კვირიკე.

მობილიზაცია დასრულდა... დასელებმა დარაზმეს ჯარი... აგერ-აგერ კანტიკუნტათ კიდევ გამოტყვრება პროტესტები, მარა ელფერი საბუთიანობისა და მტკიცე ნიადაგისა ცხელ კვალზეც არ ქონდა ამ პროტესტებს და ახლა ხომ სულ გათხელდა...

მართალია, ჩვენებმაც აღიარეს, და ბევრმა სხვამაც გვირჩია—არა ღირს ამისთანა „სორტის“ პროტესტებზე ხმის გაცემაო, მარა მე, კვირიკეს, არ შემიძლია, კბილი არ გავკრა, თუ კი საკვირიკო რამე აწიც ვნახავ ამ პროტესტებში.

მაგალითად, სამარგალიტო და საკვირიკო როგორ არაა „სიმართლის ხმის“ ერთ უკანასკნელ ნომერთაგანში დასტამბული პროტესტები.

„მოსკოვში მყოფი ქართველი ხელზე მომუშავე მუშები“ სწერენ (?) მსოკოვიდან პროტესტს და იქვე ქვევით მიყოლებულია:

**ირკუტსკის გუბერნიიდან** (სოფ. ვიტიმი) ზემო მოყვანილი საპროტესტო წერილის დედა აზრს ვუერთდებითო—ესა და ესენიო.

ეტყობა, მოსკოველ „შეგნებულებს“ ირკუტსკის გუბერნიაში გაურონინებიათ თავისი საპროტესტო წერილი, იქ წაუკითხავთ სხვა „შეგნებულებს“ და ბეჰედ დაკრული მიუწოდებიათ „სიმ. ხმის“ რედაქციისთვის. მოდი და ეჭვი ნუ შეგეპარება—სადაა ამ პროტესტების ლაბორატორია. მარა, ჰო, ჩვენებური დასელების რაზმის „შეგნებულობაც“ ისაა, რომ რასაც პავლე დასწერს, იმას პეტრესგან წაკითხვა არ უნდა, ხელი ბრმათ უნდა მოაწეროს, თვარა გამოთიშვენ და სულ ერთია—გინდა ბანოჯაში დაწერილი პროტესტი, კამჩატკელი მოვალეა ხელი მოაწეროს სულიერათ, და კალმიერათ კი ქუთაისში დაიწერება ეს პროტესტიც და მისი სახელ-გვარიც...

ღვთის წინაშე, ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული გენეოლოგიისთვის—გვართა ჩამომავლობისთვის ამ პროტესტებს... მათ გამომზეურობამდი არსად ჩვენში არ გაგონილა, ბევრი ისეთი გვარი აღმოჩნდა...

ესეც საქმეა ..
ქვით მათთან აშორდია!
ეს დიდი რეკორდია ქართული გენეოლოგიის საქმეში...

**კვირიკე.**

...ერ შექმნილი ფრაზები, (მხოლოდ ფრა-
...ები!) ყოველ პოლიტიკურ უსუსურში
...ძრავს აღფრთოვანებას. იგი იმ წისქვი-
...ის ბორბალს წააგავს, რომელიც შეუ-
...ერებლივ ტრიალებს და მარცვალი ხორ-
...ლის დაფქვა კი ეზარება. ლამაზი ფრა-
...ები და უმოქმედობა, მომხიბლავი გი-
...ოტეზები და მკვდარი პრაქტიკა, ფერა-
...ი ოცნება და გამოფიტული რეალობა.
...იტყვით ყველაფერი, საქმით არაფერია,
...აპირებებზე ჯიბეში ხელს არ ჩაიყოფს,
...სრულების შესახებ კი ნურას ეტყვით,
...უსული „ატკაზით“ გამოგისტუმრებთ.
...მაზე ითქმის:

„გაუფრთხილდი ნუ გჯერა,
მაგის ტკბილი ნანინა,
შენზე წინად სხვაც ბევრი,
მოხიბლა, შეაცდინა“...

...აბა ვის არ მოხიბლავს, სიამოვნების
...რუანტელს არ მოგვრის, თავდავიწყებამ-
...დი არ გააბრუებს მისი სიტყვები, რომელიც
...მას ნიჟნი-ნოვგოროდში ყოფნის დროს,
...კერძო ბაასის დროს, სალაზკინის სიტყვის
...შესახებ უთქვამს: „მეც აუცილებელ საჭი-
...როებათ მიმაჩნია 17 ოკტომბრის რეფორმე-
...ბი, მაგრამ რა ვქნა; გარეშე პირობები
...მიშლიან ხელს და „ბრძოლის ველზე
...ერთი ადამიანი მეომარი არ არისო“! განა
...სიპიაგინისა, პლეველი, გორეგიკანისა და
...გინდა სტოლიპინის დროს რუსეთის მო-
...ქალაქე წარმოიდგენდა, რომ ოდესმე
...რუსეთს ეყოლებოდა ისეთი პრემიერ-
...მინისტრი, რომელიც ამას იტყოდა? გე-
...ესმისთ და ყურებს არ უჯერით, ყოვე-
...ლივე სიყალბე გგონიათ, არ რწმუნდე-
...ბით, თუ ეს კოკოვცევი სიტყვებია, მაგ-
...რამ საკმარისია მდგომარეობას ჩაუკვირ-
...დეთ, ვიტეს მინისტრობის მატიანეს გა-

ეცნოთ, თვით კოკოვცევის არა სიტყვას, არამედ საქმეს ჩაუკვირდეთ და თქვენთვის ცხადი შეიქნება თუ რამდენათ გულწრფელია პრემიერის სიტყვები. ამაში არც წარმოუდგენელია რამე, რადგან ვიტე ხსენებული მანიფესტის ბებიაობასაც არ დაერიდა, რადგან ტაკტიკა და პოლიტიკური გამჭრიახობა ამას მოითხოვდა და რა გასაკვირვალია, რომ კოკოვცევმა მიცვალებულის შესანდობარი დალიოს, რადგან ამ შემთხვევაში ტაკტიკა ამოწმებს, რომ: ამით საქმეს არაფერი აკლდება და განსვენებულის ჭირისუფლებს კი თვალებზე მადლობის ცრემლი მოსდით. ეს ჭირისუფლები გახლავან გუჩკოვ-როძიანკოები, ცენტრი, რომელიც ასეთი მოკრძალებითა და მოწიწებით ევლება—თავს და ულოლიავებს განსვენებული მანიფესტის აჩრდილს. ძლიერი ცენტრი და ამ ცენტრთან სოლიდარობა იმდენათ, რამდენათ ცენტრი კოკოვცევს გამოადგება საქმით და კოკოვცევი ცენტრს სიტყვით. ახლანდელმა პრემიერ მინიტრმა კარგათ იცის ოკტომბრისტების სუსტი მხარე, იცის მათი გარეგანი, ცრუ თავმოყვარეობა და იგი მტკივან ფეხზე აჭერს ფეხს. ამგვარათ მჭერმეტყველობს და „დემოსფენობს“ კოკოვცევი, რომელიც სულით და გულით მემარჯვენეთა პირმშოა, მას არც შეუძლია მისი აზროვნება და არსებითი სიმპატია არა მემარჯვენეებისკენ გადახაროს, რადგან ასეთია კურსი რუსეთის ბიუროკრატიის, რომლის ყავარჯენსაც მემარჯვენე რუსეთი წარმოადგენს თავისი მემარჯვენე თავად-აზნაურობით.

**იმერი.**

# და იშვა ჭორი.

**ზაფხულია.**

ხის ქვეშ ჩრდილში წვანე მდელოზე ხანშესული ქალი ივლიტე სწევს.

დიდიხანია ადგომა უნდა, მარა მზის სითფომ ისე დაიზანტა, რომ ტანის აწევა ეზარება.

ბოლოს გვერდი იბრუნა, მარცხენა ხელი ლოყაზე ამოიდო და ის იყო თვლემა მიეპარა, რო მისი ეზოს გვერდით ჩამავალ გზაზე დაინახა სოფელში სილამაზითა და სინაზით ცნობილი ასული ქეთო.

— ნეტავ, სად მიდის? გაიფიქრა ივლიტემ და თვალი გააყოლა.

მიმავალი ქეთო ყანაში მყოფმა ვაჟმაც დაინახა წამს.

მიდვრის ყვავილებისგან თაიგული შეკონა და ასულისკენ გაემართა.

ქეთო ყმაწვილის დანახვაზე შეჩერდა.

— ვაჟი ქალს მიუახლოვდა, მიესალმა, ლობიდან გადაიწია და თაიგული შესთავაზა და ისევ გამობრუნდა.

ამის დანახვაზე ივლიტე ადგილიდან ზე წამოიჭრა... მას გული მაგრათ უცემდა...

საჩქაროთ მეზობლის ეზოსკენ გაემართა და, როცა იქიდან ერთმა მოხუცმა ქალმა მასთან მიირბინა, ივლიტემ მას ყურთან ტუჩები მიადვა. იგი მას ცხარეთ ეჩურჩულებოდა და ხანდახან მიმავალ ქეთოზე ფარულათ თითით ანიშნებდა...

**კ. ჯორჯიკია.**

# ღია ბარათი

**6 ფოთელ მუშას.**

(ი. ნიკოლაიშვილს, ს. რამიშვილს. გ. ნაცვლიძეს, ნ. ნიკოლაიშვილს, დ. ტეშელაიძეს და გ. კობიძეს).

„სიმართლის ხმის“ მეთექვსმეტე №-ში მოთავსებულმა თქვენმა „პასუხმა“ ძლიერ გაგვაცვიფრა.

არ გვეგონა, თუ თქვენც იმ ჯურის ხალხს ეკუთნოდით, რომლისათვისაც საკმარისია „ლუკმის დანახვება“, რათა სიტყვა გატეხოს და გამოეყოს, და ამხანაგებს გადაუდგეს.

ჰე, რასა იქ! ჩვენს დროში ყველაფერს უნდა მოელოდე კაცი.

აბა, როგორ ვიფიქრებდით, თუ თქვენ, ვინც ერთ დროს ჩვენთან ერთად თავს მოტყუებულათ რაცხდით და დაკმაყოფილებას ითხოვდით, ვინც იმ აზრის იყავით, რომ ან ყველა უნდა მიგველოთ სამუშაოთ, ანდა არავის უნდა გვემუშავა, არათუ ჩვენ გამოგვეყოფოდით, და დაიწყებდით მუშაობას, არამედ „გამოღმაც გამოგვედავებოდით, რომ გაღმა შეგრჩენოდათ“. რა ვიცოდით, თუ თქვენ სიტყვისა და ამხანაგობის გამტეხნი, ყველაფერში მტყუანნი ხმას ამოიღებდით, და ჩვენ დაგვიწყებდით მტყუნებას, ისიც გაზეთის ფურცლებზე. ახირებულია სწორეთ.

ამას შემდეგ რაღა დაგვრჩენია იმის მეტი რომ სამედიატორო სამართალში გამოგიწვიოთ. წინადადებას გაძლევთ გამოგვყვეთ საშედ. სამართალში. პირუთვნელმა სამსჯავრომ გამოარკვიოს: ვინ მრუდობს ჩვენში, თქვენ თუ ჩვენ!

ამ წერილის დაბეჭდვას შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ველით თქვენგან პასუხს.

სასამართლოს გადაწყვეტილება გაზეთის ფურცლებზე უნდა გამოაშკარავდეს. მივიღებთ თუ არა თანხმობას, დაუყონებლათ შეუდგებით მედიატორების დანიშვნას.

ერთი კვირის განმავლობაში თუ თქვენგან პასუხი ვერ მივიღეთ, ეს იქნება თქვენი სიყალბის მაჩვენებელი და ნება გვექნება თქვენს საქციელს შესაფერი სახელი ვუწოდოთ.

| | |
|---|---|
| გ. „იმერეთში“ წერილის მომთავსებელი მუშების მონდობილობით. | პოლიტენიმონ ჯანჯღავაძე<br>კოწია თოიძე<br>დათიკო მუმლაძე<br>ბესარიონ ბარაბაძე. |

# დ. ხონი.

ჩვენი დაბის აღმოსავლეთ ნაწილზე აშენებულია მშვენიერი თლილი ქვისგან მაცხოვრის სახელობის ეკლესია.

მოგეხსენებათ, 14 სეკტემბერს დღესასწაულობს მართლმადიდებელი ერი და ეკლესია ჯვართამაღლებას. მრავალს ამ დღეს დაესწარი, მკითხველო, მშვიდობით, მარა მე რომ სულის მშვიდობა ვერ ვიგრძენი ამ დღეს ამ ეკლესიაზე დასწრებით, ცხადია. ხალხი საკმაოთ იყო, უმეტესობა მოხუცებულებისგან შესდგებოდა, იყვენ გიმნაზიის მოწაფენი და მასწავლებელნიც, დადგა წირვა, ღვდელი მკაფიო ქართული ენით წირვის წესს ასრულებდა, ხოლო მოწაფენი რუსულათ გალობდენ. მეხამა ესა და ვიკითხე: მგალობლები რუსის შვილები არიან-მეთქი? არაო, ესენი იმ ქართველი გლეხებისა და აზნაურების შვილებია, რომელთაც აუგიათ ეს ეკლესია. პირჯვარი გამოვისახე, ეშმაკს მივაფურთხე და თვალები და გულისყური მივაპყარი მაცხოვრის ხატს.

გამოწირა მოძღვარმა, დადგა ჯვარით საკურთხევლის კართან და, ჩემდა გასაცვიფრებლათ, მიმართა ხალხს რუსულ ენაზე. შევკრთი, მიმოვიხედე;—შეუმჩნევლათ იქნება რუსულ ეკლესიაში ამოვყავი თავი-თქო! მაგრამ არა. ხონში ვიყავი, ხონელებთან ერთად, ხონელების მიერ აგებულ ეკლესიაში.

მამა არისტო მაჭარაძემ მოხდ ნილი რუსულით განმარტა დიადი მნიშვნელობა ჯვართამაღლებისა... ვისთვის, რისთვის ეს რუსული ქადაგება!..

ნუთუ იმ ორი მასწავლებლისთვის, რომელთაც ისტორიაც საკმაოთ იციან და ჯვართამაღლების მნიშვნელობაც. უფრო საჭირო არ იყო ქართული ენით დაემშვიდებია მოხუცი გლეხებისა და მათი მოხუცი ცოლების სული, თუ რატომ მარხულობს მართლმადიდებელი ერი ამ დღეს. ეკლესიის კარებთან ორი მოხუცი გლეხი ერთმანეთს ეკამათებოდა: ჯვარი თუ ამაღლდა, მარხულობა კი არ გვმართებს, პირიქით ქეიფი და წვადეგბიო!..

ნოქარი **დათიკო ზენაიშვილი.**

# ზემო-იმერეთი.

**ს. მუხურა.** ს. მუხურა ზესტაფონიდან 20 ვერსის მანძილზეა. [illegible] საზოგადოება, რომელშიც შედის ... სოფლის, მუხურა, ... ძირა და ზედა თავასას მცხოვრებნი, კულტურულათა და სწავლა-განათლების მხრით დღემდი ჩამორჩენილი იყო. დღეს ცოტა გამოფხიზლება დაეტყო. მთელ საზოგადოებაში მარტო ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა არსებობდა. მუხურის საზოგადოებამ ამ შკოლის ორკლასიანათ გადაკეთება მოინდომა და შესაფერი განაჩენიც დაადგინა და გაგზავნა დასამტკიცებლათ სადაც ჯერ არს. მთავრობამ განაჩენი, რაღაც მიზეზის გამო, არ დაამტკიცა და მოსთხოვა საზოგადოებას განაჩენის დამატება და შენობის აგება. ამაზე ს. მუხურამ მტკიცე უარი განაცხადა და მით გამოეყო დანარჩენ ოთხს სოფელს შკოლის შენობის აშენების საკითხში. თუზმა, ვარდისუბანმა, ძირა და ზედა თავასამ მოინდომეს შკოლის შენობის აგება, მაგრამ ესენიც ვერ ასცდენ აყალ-მაყალს ადგილის ამორჩევის შესახებ და დანაწილდენ. ახლა მარტო ძირა თავასამ, რომლის მცხოვრებთა მეკომურიც 80-ს არ აღემატება, თვით იკისრა ქვითკირის საშკოლე შენობის აგება, შესაფერი განაჩენიც დაადგინეს და წარადგინეს კიდეც. მიუხედავათ იმისა, რომ ძირა თავასელებს ბევრი ხარჯი მოელის ამის შესახებ, დანარჩენი სოფლები თანასწორათ აძლევიებენ საზოგადოებისთვის საჭირო ხარჯს, როგორც მაგალ. თუზის საშკოლე ხის შენობის ყიდვაში მონაწილეობა და თანასწორათ ხარჯი შეაწერა საზოგადოებამ. ძირა თავასელები ყოველივე ამ ხარჯს არ უფრთხიან, ოღონდ დაწყებული საქმე კეთილათ დააბოლოონ. მადლობის ღირსია სიმონ უგრეხელიძე, რომელმაც ძირა თავასელებს უფასოთ შესწირა ადგილი საშკოლეთ.

**ც—ძე.**

**ს. სიმონეთი.** სიმონეთი ერთს მდიდარ სოფლათ ითვლება ზემო იმერეთში. აქ მეურნეობა ყვავის დღითიდღე: მოყავთ ბლომათ სიმიდი, ღვინო და აგრეთვე ბამბაც, მაგრამ წელს ხანგრძლივი გვალვისაგან ყველაფერი ნაკლებია. სიმონეთში არსებობენ შემდეგი კულტურული დაწესებულებანი: ორი სამინისტრო სასწავლებელი, ორი სამრევლო შკოლა, აგრეთვე წიგნსაცავ-სამკითხველო და აფთიაქი. დიდი ხანია დაადგინეს განაჩენი ბაზრობის (იარმარკა) დაარსებაზე, მაგრამ ჯერ ვერ მოუყვანიათ სისრულეში. სამს წელიწადზე მეტი იქნება, რაც სიმონეთლებს დაუდგენიათ განაჩენი, აეშენებიათ ორი სამინისტრო სასწავლებლისთვის ქვითკირის შენობა. ერთი მათგანი უნდა აშენებულიყო შუა სოფელში, სადაც ახლაც მოთავსებულია სასწავლებელი ნაქირავებ შენობაში, მეორე კი მდ. ყვირილის ნაპირას, რომელიც სოფლის განაპირათა ორი-სამი ვერსის მანძილზე.

ატყდა უთანხმოება სოფლელებს შორის, მოიწვიეს ყრილობა, უყარეს კენჭი, მაგრამ, ბურთი და მოედანი კიდევ ძველი ადგილის მომხრეებს დარჩათ. ამნაირი ყრილობა ერთი წლის განმავლობაში ათჯერაც მოახდინეს, მაგრამ სურვილს კი ვერ მიაღწიეს. ამის თაობაზე, თქვენს გაზეთში ეს პირველი ცნობა არაა, მაგრამ საქმეს არ ეშველა. უნდა ვისარგებლოთ სხვების გამოცდილებით. სასურველია, ამ მ...ავალ-ტანჯულ საქმეში ჩაერიონ საზოგადოების მოწინავე ელემენტები და საქმე კეთილათ დააბოლოონ.

**ნაცნობხებელი.**

# პეტერბურგელ მანდილოსანთა ძვირფასეულობა.

გაზ. „ბირჟევია ვედომოსტი“-ში მოყვანილია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ მანდილოსანს რამდენი ძვირფასი თვალმარგალიტი აქვს.

ძვირფას თვალმარგალიტთა ყველაზ...

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ—ბის ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთი

რომელიც პირდაპირ მწარმოებლისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.

სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთზე გასულ წელთან შედარებით

## ფასები დაუკლო.

ახლად მიღებულია ჩანთები (რანცები) მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში. ჩვენ მივაქცევთ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეების

„დღიურს“ „Дневникъ“

რომელიც სრულიად დაკმაყოფილებს მოწაფის მოთხოვნილებასა და შედარებით იაფ ფასად იყიდება.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩა

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აურებელი ახარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


უძვირფასეს კოლექციას გრაფ. ე. ვ. შუვალოვისა ფლობს. მისი ბრილიანტები გვირგვინოსანთ შეეფერება. ერთ საღამოს დაესწრო გრაფინია თვალმარგალიტით მორთული თავსახურით, რომელიც მძივივით ასხმული სხვილი ბრილიანტებით იყო მორთული და სიგძით წელამდი აწვდა კრიალოსანივით. სულ უძვირფასესი ბანტივით შეკონილი „ბროშკაა“ (აბზინდა) ლიუდოვიკო XV სტილით. გრაფ. მ. მ. არლოვა-დავიდოვის მეუღლის მარგალიტები განსაცვიფრებელ რასმე წარმოადგენს სედიდითა და სილამაზით. მათ შორის შესანიშნავია collier de chien, რომელიც კაკლის ოდენაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს თვალი ფასდაუდებელია.

პირველობა მთელს დედამიწაზე თითქმის კნეინა ზ. ნ. იუსუფოვის მეუღლის კოლექციას ეკუთნის: ღირებულობით მხოლოდ სახელმწიფო რეგალიებს ჩამოუვარდება. მის კოლექციაში მოიძებნება ფასდაუდებული ისტორიული თვლები, როგორც, მაგალ. „h'étoile polaire“ ინდოეთიდან გამოტანილი, რითაც იქაური მახარაჯი ერთ დროს ამაყობდა. შესანიშნავია აგრეთვე მისი პირისფერი ბრილიანტის „პარიურა“ და შავი მარგალიტის კრიანოსანი. ამ კრიანოსანს ატარებდა კნეინა, როდესაც უფროს შვილს გლოვდა. ასანიშნავია აგრეთვე დემიდოვთა ძვირფასეულობის კოლექცია, რომელთა შორისაც ურევია ზღაპრული ბრილიანტი—სანსი.

განსვენებული ერცოჰგინია ზინაიდა დიმიტრის ასულს ლეიხტენბერგისასაც ძვირფასი კოლექცია ქონდა, რომლის ზოგიერთი თვლებიც პრინც ევგენი ბოჰარნეს დედის, იმპერატრიცა ჟოზეფინას ნაქონი იყო.

ყველაზე უძვირფასესი მათში ზურმუხტის თვლები იყო.

პეტერბურგის თავად-აზნაურთა წინამძღოლათ ნამყოფმა, განსვენებულმა გრ. ა. ა. მორდვინოვმა ძვირფასი თვლების ისეთი კოლექცია დაუტოვა თავის მეუღლეს, რომ ინდოეთის უმდიდრეს „ნაბობსაც“ კი შეეხარბებოდა.

სხვილი ბრილიანტის „პარიურასა“ და მარგალიტის კრიალოსანთ გარდა, მან დაუტოვა კიდევ ლალისა და საფირონის „პარიურა“.

კნ. ო. კ. არლოვისა, როდესაც იმოსება საგვარეულო ძვირფასეულობით, ყველას თვალს სჭრის მისი თვალმარგალიტი. მათ შორის მრავალი თვალი მოიძებნება, რომელიც იმპერატრიცა ეკატერინე დიდმა აჩუქა გრიგოლ არლოვს. ყველაზე უძვირფასესი კი მისი ზურმუხტებია.

გრაფ. ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვის თვალმარგალიტთა რიცხვში შესანიშნავია ლალის „პარიურა“, რომელიც დიადემისა, ქინძისთავისა, „ბროშისა“ (აბზინდა) და საყურეებისაგან შესდგება. მ. პ. როძიანკოს საფირონი ყოველთვის აღტაცებას იწვევდა მცოდნეთა თვალში.

კნ. ნ. დ. ბელოსელსკაია-ბელზერსკაიას მეუღლეს აქვს წმინდა ცისფერი ფირუზის „პარიურა“. ამ „პარიურის“ ქინძისთავი ზღაპრულია pavé de tourquoises-ია.

შესანიშნავი მარგალიტები გრაფ. ა. ი. შუვალოვისას აქვს. მათ შორის დიდებული „პარიურაა“ ნაცრისფერი მარგალიტისა და სხვილი ვარდისფერი მარგალიტების „კულონი“.

ასანიშნავია აგრეთვე პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მეუღლის ზურმუხტის მანიაკი (ოჟერელიე).

## თეატრი.

თფილისის ქართული დრამა. ხუთშაბათს, 14 სეკტემბერს წარმოდგენილი იყო ნ. შიუკაშვილის პიესა „ციცინათელა“.

პიესის შინაარსზე არას ვიტყვი, რადგანაც, იგი რამდენჯერმე იყო წარმოდგენილი როგორც თფილისში, ისე ქუთაისშიც.

თუმცა პიესა ქართველის დაწერილია, მაგრამ შიგ ქართული არაფერია, და ამიტომაც შეცთომა იყო, ამ პიესის მეორეთ დადგმა. ნ. დივითაშვილის ასულს (პაბო) უგულობა ეტყობოდა. ამას გარდა სიარული ვერ აქვს კარგი, რაიც შთაბეჭდილებას აქარწყლებს.

იმედაშვილი (ლევან) რამდენათაც კარგი იყო „ღალატში“ იმდენად მოისუსტებდა „ციცინათელაში“. იმედაშვილს სულ არ შეეფერებოდა მხატვარი ლევანის როლი.

ნ. ჩხეიძეს ასული (ციცინათელა) კარგი იყო, მხოლოდ გრიმი ვერ ქონდა შესაფერი... ჩვენ უფრო მეტს მოველოდით, თუმც ეს უფრო ავტორის ბრალია, რადგანაც ყალბი ადგილი მრავალია, „ციცინათელაში“.

ვ. გუნია (მამა) ჩვეულებრივათ დაკვირვებით თამაშობდა. კარგი და ბუნებრივი იყო სიკვდილი.

მაგრამ მთელი ამ საღამოს დამამშვენებელი ვ. შალიკაშვილი იყო. მისი თამაში ისე გონივრული და აწონილ-გაზომილი იყო, რომ ვერც ერთ ნაკლს ვერ უპოვით. ვ. შალიკაშვილმა ამ საღამოს დაგვარწმუნა ერთხელ კიდევ, რომ მსახიობისათვის საჭიროა შრომა, შრომა, და შრომა.

პიესა კარგათ და ორიგინალურათ იყო დადგმული. ეტყობოდა რეჟისორის—მიხ. ქორელის ხელი. ერთი შენიშვნა: ბოლო მოქმედებაში კულისებში სროლაა თოფებისა და სცენაზე კი ფანჯრები ღია იყო.

შოთაძე, ბარველი და ხონელი ანსამბლს ხელს უწყობდენ.

ხალხი წარმოდგენას ნაკლებათ დაესწრო

მე არა გარ.

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე.


საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.

## „პატოკსან“.

„პატოკსან“ შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„პატოკსან“ ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და ღლიური ნაწველიც გაადიდოს.

„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „გეორგი რუსინოვ და ამხ.“ თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.

ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.

ქ. ქუთაისში კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში იყიდება მისივე გამოცემა

ქართული სახელმძღვანელო

## „საქართველოს ისტორია,“

მესამე გამოცემა სურათებითა და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. სიმონ ქვარიანის მიერ. წიგნი ღირს ყდით ორ აბაზათ.

„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ“.

ყოველი ერი მაშინ მიდის წინა და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას. ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესათ დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე მით უფრო მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო ჯგემს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორია, მათ შკოლებში უმთავრესსა და უსაყვარლეს საგნებს შეადგენს: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათი განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.

ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ იგი რა იცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნებაც გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობრივათ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,

ამ მოსაზრებით აქ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველესი დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტროსა და სასულიერო სასწავლებლებში. თავისი მარტივი, გასაგები ენითა და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.

დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ გამოდის მესამე გამოცემათ ხუთი ათასი ცალი. გვწამს, რომ მას შეხვდებიან ჩვენი შკოლები, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველს ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკაძის სურათი.

გამომცემელი კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

## КУРСЫ | ПРІЕМЪ

кройки и шитья для дамъ и дѣвицъ. | заказовъ на элегантные дамскіе наряды

## M-me МАРИ

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятій остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта приниматься не будутъ.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Алексанoровская улица, домъ Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ M-me МАРИ.

## ამ შემოდგომაზე ჭურჭებისთვის და გჭირდებათ

## საუკეთესო ცემენტი,

რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ

ძმ. ე და პ. სააკაშვილების სავაჭროში

ქუთაისში პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: ს...ლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.

## სამკურნალო აბანო

ხრესილი — თბილი და ცივი წყლით.

მეირფასი მთის არეზე

ძმ. ყორყოლაძეების

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

## გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მ...ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО...

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილება, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათ და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.